INTERNATIONAL FEDERATION OF **SPORT CLIMBING**

IFSC სტრატეგიული გეგმა
2020 – 2028

IFSC სტრატეგიული გეგმა

გადამუშავებული ვერსია ტოკიო 2020 ოლიმპიური თამაშების გადადების შემდეგ, COVID-19-ის გავრცელების გამო

ოლიმპიური ოცნება იყო IFSC-ის დაარსების ცენტრში მდგომი მიზანი, რომელიც ემყარებოდა რწმენას, რომ ცოცვის ღირებულებები თანხვედრაშია ოლიმპიზმის ღირებულებებთან. მეკლდეურები ბუნებრივად იზიარებენ უნივერსალურ ფუნდამენტურ პრინციპებს — ურთიერთპატივისცემას, ერთმანეთისა და გარემოს მხარდაჭერას — სპორტის, განათლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის შერწყმის გზით, რაც ქმნის ყოვლისმომცველ ცხოვრების წესს. ჩვენს შეჯიბრებებში ჩვენ ვქმნით ლანდშაფტებს, ვგეგმავთ ტრასებს, ვაყალიბებთ საჭიდებს და ვხსნით ახალ თავისუფლებას ვერტიკალობის ძალის შესასწავლად, ვიგონებთ ცოცვის ახალ გზებს, რომლებიც მხოლოდ ჩვენი წარმოსახვით არის შეზღუდული.

სპორტული ცოცვის ჩართვამ XXXII ოლიმპიადის (ტოკიო) პროგრამაში, რაც ოფიციალურად გამოცხადდა IOC-ის მიერ 2016 წლის 3 აგვისტოს, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

როგორც სპორტი, ასევე საზოგადოება სწრაფად განვითარდა, ხოლო IFSC მუდმივად ცდილობდა სპორტსმენების ინტერესების ცენტრში დაყენებას, სპორტის ძირითადი მახასიათებლების — მთლიანობის, ღიაობისა და ინკლუზიურობის — შენარჩუნებას და ამავდროულად ახალი თაობის შთაგონებას. COVID-19-ის პანდემიამ, რომელიც 2020 წლის დასაწყისში დაიწყო, გამოიწვია ტოკიო 2020 ოლიმპიური თამაშების 2021 წლამდე გადადება. მიუხედავად ამისა, ტოკიოს თამაშების შემდეგ სპორტული ცოცვის საზოგადოება შევა ახალ ეპოქაში, სადაც IFSC — როგორც საერთაშორისო მმართველი ორგანო — იქნება ლიდერი სპორტული ცოცვის ღირებულებების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში, საზოგადოების გაერთიანებასა და სპორტის გლობალურ ზრდაში.

სტრატეგიული დაგეგმვის ქრონოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის ფაზა მოიცავდა 2019 წლის უმეტეს ნაწილს და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორიცაა 2019 წლის პლენარული ასამბლეა, არკოს ეროვნული ფედერაციების სამუშაო შეხვედრა და პირველი ცოცვის სამიტი ტურინში.

ამ ღონისძიებებზე IFSC-ის აღმასრულებელმა საბჭომ წარმოადგინა ხედვა, მისია და ძირითადი მიზნები, და მიიღო უკუკავშირი მთავარი დაინტერესებული მხარეებისგან — წევრი ფედერაციებისგან.
2020 წლის ნოემბერში, XVI პლენარული ასამბლეის დროს, აღმასრულებელი საბჭო წარუდგენს სტრატეგიულ გეგმას IFSC-ის წევრებს.

March 2019	June 2019	August 2019	December 2019	January - March 2020	November 2020
XIV Plenary Assembly, Tokyo	Kick-off	Arco Workshop	I Climbing Summit	Review	XVI Pleanary Assembly, Limassol
Announcement of Strategic Plan	Strategic Planning brainstorming	Exploratory and listening session. Feedback from NF's	Presentation of key objectives to main stakeholders	Synthesis of data collected, definition of next steps	Presentation of the strategic plan

IFSC-ის ხედვა

სპორტული ცოცვის მეშვეობით მსოფლიოს უკეთეს ადგილად ქცევა.

IFSC-ის მისია

სპორტული ცოცვის საზოგადოების ზრდა და სპორტის გლობალური განვითარება;

სპორტული ცოცვის ეფექტიანი და შედეგიანი მართვა, განვითარება, წარმოჩენა და პოპულარიზაცია მდგრადი ღონისძიებების მეშვეობით სპორტსმენების, წევრი ფედერაციების და ძირითადი პარტნიორების სასარგებლოდ.

IFSC-ის ძირითადი მიზნები

1. სპორტული ცოცვის წარმოჩენა ღონისძიებების მეშვეობით
2. სპორტული ცოცვის განვითარება
3. წევრობისა და მმართველობის გაძლიერება
4. IFSC-ის ბრენდის ცნობადობის გაზრდა
5. სპორტული ცოცვის გლობალური პოპულარიზაცია

ძირითადი მიზნები

2021 წლის აგვისტოში სპორტული ცოცვა პირველად გამოჩნდება ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. პირველად ისტორიაში სპორტული ცოცვა მილიარდობით მაყურებლის წინაშე იქნება წარმოდგენილი.

IFSC უზრუნველყოფს სპორტული ცოცვის ღონისძიების ჩატარებას 20 ქალ და 20 კაც სპორტსმენს შორის კომბინირებულ ფორმატში (ერთ- ერთი მედალი თითო სქესზე).

ტოკიოს თამაშებზე წარმატება ნიშნავს როგორც მაყურებლის პოზიტიურ გამოხმაურებას, ასევე IOC-ის დადებით შეფასებას სპორტული ცოცვის წარმოჩენის, მაყურებლობის, სოციალური მედიის აქტივობისა და ღონისძიების მართვის კუთხით.

მავდროულად, პარიზი 2024-ის საორგანიზაციო კომიტეტმა IOC-ს წარუდგინა ახალი პროგრამა სპორტული ცოცვისთვის, რომელიც დროებით დამტკიცდა და საბოლოო გადაწყვეტილება 2020 წლის დეკემბერში უნდა მიღებულიყო. პარიზის პროგრამა ითვალისწინებს მედლების რაოდენობის გაზრდას თითო სქესზე ერთიდან ორამდე (სიჩქარე და ბოლდერი/ლიდი), რაც ზრდის კვალიფიცირებული სპორტსმენების რაოდენობას 40-დან 72-მდე. ლოს-ანჯელესი 2028-ის მიზანია თითო დისციპლინაზე ცალკე მედლის დაწესება და პარალიმპიურ თამაშებში ჩართვა შესაბამისი კატეგორიებით.



1. 1. სპორტული ცოცვის წარმოჩენა ღონისძიებების მეშვეობით

სპორტული ცოცვის ღონისძიებები წარმოადგენს IFSC-ის ძირითად საქმიანობას. IFSC-ის მიზანია მსოფლიო თასების, მსოფლიო ჩემპიონატებისა და სხვა ღონისძიებების სტანდარტების ამაღლება შეჯიბრის დონით, ინფრასტრუქტურითა და ოპერირებით ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ.



1.1 მიმზიდველობა

ღონისძიებების პროგრამის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს სპორტის საუკეთესო ასპექტებს.

1.1.1. აუდიტორიის მაქსიმალური ხელმისაწვდომობისთვის ღონისძიებების კალენდრის განვითარება;

1.1.2. IFSC ღონისძიებების ღირებულების უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის ათლეტების, ეროვნული ფედერაციებისთვის, ოფიციალური პირებისთვის, ღონისძიების ორგანიზატორებისთვის, მაყურებლები, ონლაინ აუდიტორია, მედია და ტელევიზია;

1.1.3. მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურის დაცვა ოფიციალური სპორტული აღჭურვილობის გაძლიერებით.~

1.2 ანგარიშვალდებულება

მსოფლიო დონის ღონისძიებების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურიდან ოპერაციებამდე.

1.2.1. გამჭვირვალე და ობიექტური განაცხადის პროცესის დაცვა

1.2.2. ღონისძიებების მოდელის მონიტორინგი და გადახედვა მდგრადობის უზრუნველსაყოფად;

1.2.3. სპორტსმენებისთვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა;

1.2.4. ოლიმპიური და სხვა მრავალსპორტული ღონისძიებების საკვალიფიკაციო სისტემების ფორმირება IFSC-ის მიზნებთან შესაბამისობაში.

1.3 მემკვიდრეობა

შეავადგინოთ ღონისძიების პროგრამა, რომელიც წარმოაჩენს სპორტის საუკეთესო ასპექტებს.

1.3.1. ღონისძიების ორგანიზატორის სახელმძღვანელოს მთავარ რეფერენსად ქცევა;

1.3.2. ცოდნის გადაცემის ხელშეწყობა;

1.3.3. კონსულტაციების მიწოდება ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის;

1.3.4. ფინანსურად, ოპერაციულად და ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების განვითარება.

1.4 მრავალფეროვნება

Showcase and support all Sport Climbing disciplines through a variety of events across continents, cultures, and formats.

1.4.1. 8-წლიანი გეოგრაფიულად დაბალანსებული კალენდრის შექმნა;

1.4.2. პარაცოცვის ღონისძიებების სტაბილური კალენდრის ამოქმედება;

1.4.3. ყველა დისციპლინის მხარდაჭერა და ახალი ფორმატების განვითარება;

1.4.4. ფენოვანი ღონისძიებების სტრუქტურის შექმნა;

1.4.5. ეროვნული–კონტინენტური–საერთაშორისო გზების უზრუნველყოფა სპორტსმენებისთვის.

2. სპორტული ცოცვის განვითარება

IFSC მხარს დაუჭერს წევრ ფედერაციებს განვითარების პროგრამებით სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებისთვის, ტრასების დამგეგმავებისა და მსაჯებისთვის.

2.1 უნივერსალურობა

მივაღწიოთ გენდერულ და გეოგრაფიულ ბალანსს სპორტული ცოცვის პრაქტიკაში მთელ მსოფლიოში.

2.1.1. განვითარების სხვადასხვა მიდგომების იდენტიფიცირება;

2.1.2. პარაცოცვის განვითარების პროგრამის გაგრძელება;

2.1.3. გენდერული ბალანსის მიღწევა 2028 წლისთვის.

2.2 პარაცოცვა

პარაცოცვის პროფესიონალიზაცია IPC სტანდარტების დაკმაყოფილება და მისი მომავალ პარაოლიმპიურ თამაშებში ჩართვა, დაწყებული 2028 წლიდან.

2.2.1. ლასიფიკაციის გაუმჯობესება IPC სტანდარტების შესაბამისად;

2.2.2. კატეგორიების გადახედვა;

2.2.3. პარაცოცვის ტრასების დამგეგმავთა ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;

2.2.4. როვნული და საერთაშორისო ღონისძიებების წახალისება.

2.3 ხარისხი და განათლება

მაღალი სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა ყველა დონის მწვრთნელების, მსაჯების და მარშრუტის შემქმნელებისთვის.

2.3.1. განვითარების პროექტების შექმნა ინფრასტრუქტურისთვის;

2.3.2. სასწავლო ბანაკების განვითარება;

2.3.3. სასწავლო მასალებისა და პროგრამების შექმნა;

2.3.4. ოფიციალური პირების შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა;

2.3.5. IFSC აკადემიის შექმნა მდგრადი გზით.

3. წევრობისა და მმართველობის გაძლიერება

2020-2021 წლიდან IFSC დაიწყებს განვითარების პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს წევრი ფედერაციების საერთო რაოდენობის გაზრდას და არსებული ფედერაციების ზრდის ხელშეწყობას.

3.1 მთლიანობა და გამჭვირვალობა

სპორტული ცოცვის ძირითადი ღირებულებების შესანარჩუნებლად, ხელი შეუწყოს გამჭვირვალობის კულტურას და ძლიერ ეთიკურ პრინციპებს.

3.1.1. ცოცვის ეთიკის ქარტიის პოპულარიზაცია;

3.1.2. ერთიანობაზე, ცოდნაზე და ურთიერპატივისცემაზე დაფუძნებული კულტურის შექმნა;

3.1.3. რისკების მართვა და ათლეტების დაცვა საშეჯიბრო მანიპულაციებისგან;

3.1.4. ძირითადი დოკუმენტების გამოქვეყნება.

3.2 დემოკრატია

უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების სამართლიანი წარმომადგენლობა და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.2.1. არჩევნების სამართლიანი პროცედურები;

3.2.2. დაინტერესებული პირებისთვის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა IFSC ორგანოებში და კომისიებში;

3.2.3. რეგულარული შეხვედრები;

3.2.4. ღია დიალოგის უზრუნველყოფა.

3.3 მონაწილეობა

სპორტული ცოცვის ზრდაში აქტიურად ჩართული ქვეყნების რაოდენობის გაზრდა.

3.3.1. 115 წევრი ფედერაცია პარიზი 2024 წლისთვის, 130 — ლოს ანჯელესი 2028 წლისთვის;

3.3.2. კონტინენტურ საბჭოებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

3.3.3. ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერა;

3.3.4. ეროვნული ღონისძიებების მხარდაჭერა.

3.4 ეფექტიანობა

მართვა და მოქმედება მდგრადი, ეფექტური და დინამიური მოდელის შესაბამისად.

3.4.1. მკაფიო როლები და პასუხისმგებლობები;

3.4.2. წესდების სრული გადახედვა 2022 წლისთვის;

3.4.3. რესურსების ეფექტური მართვა;

3.4.4. გარე ფინანსური აუდიტი.

4. IFSC-ის ბრენდის ცნობადობის გაზრდა

მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში სპორტულმა ცოცვამ მონაწილეობის უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია, IFSC პარალელურად მუშაობს სპორტულ ცოცვაზე მიღწევების გასაზრდელად. IFSC-მ, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული, ერთ-ერთ მიზანად დაისახა სპორტის პოპულარობის კიდევ უფრო გაზრდა და აუდიტორიის გაფართოვება საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

4.1 იდენტობა

უზრუნველყოს IFSC-ის, როგორც სპორტული ცოცვის მმართველი ორგანოს, აღიარება მთელ მსოფლიოში.

4.1.1. სპორტული ცოცვის, როგორც ეკოლოგიურად მდგრადი სპორტის, წარმოჩენა;

4.1.2. ოლიმპიურ და პარალიმპიურ ოჯახებში წარმომადგენლობა;

4.1.3. კომუნიკაციის არხების გამოყენება;

4.1.4. პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნება.

4.2 საზოგადოება

ვიყოთ სპორტული ცოცვის საზოგადოების ცენტრში

4.2.1. ინფორმაციის მთავარი წყარო;

4.2.2. ციფრული აუდიტორიის ზრდა;

4.2.3. სპორტული ცოცვის ყველა ფორმის პოპულარიზაცია;

4.2.4. სპორტსმენების ცენტრალური როლი შენარჩუნება.

4.3 ჩართულობა

აქტიურად ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე სპორტული ცოცვის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

4.3.1. გულშემატკივართა ჩართულობის გაზრდა;

4.3.2. სპორტდარბაზების ჩართვა;

4.3.3. პარტნიორული აქტივაციები;

4.3.4. უკუკავშირის მიღება ყველა პლატფორმაზე.

5. სპორტული ცოცვის გლობალური პოპულარიზაცია

ნებისმიერი ორგანიზაციის მსგავსად, IFSC-მ უნდა შეიმუშაოს მყარი მარკეტინგული სტრატეგია და გეგმა, რათა შეინარჩუნოს თავისი საქმიანობა და ხელახლა ინვესტირება მოახდინოს ამ რესურსების სპორტის განვითარებაში, ღონისძიებებსა და სპორტის ზოგად ზრდაში, რითაც მიაღწევს თავის მიზნებს. ოლიმპიურ პროგრამაში გაწევრიანების მიზნის მიუხედავად, IFSC ასევე მიზნად ისახავს ფინანსური ავტონომიის შენარჩუნებას, რათა დამოუკიდებლად უხელმძღვანელოს პროექტებსა და აქტივობებს და შეინარჩუნოს ჩვენი სპორტის ღირებულებები.

5.1 მაუწყებლობა და ტელევიზია

გაზაიზარდოს სპორტული ცოცვის ღონისძიებების გაშუქება ტელევიზიით და ყველა ახალ ციფრულ პლატფორმით.

5.1.1. ტელევიზიური გაშუქების გაძლიერება;

5.1.2. ციფრული მედიის გაფართოება;

5.1.3. წარმოებისა და დისტრიბუციის კონტროლი.

5.2 მარკეტინგი

მოიზიდოს და შეინარჩუნოს პარტნიორები, რომლებიც მაღლა წევენ სპორტული ცოცვის ღირებულებებს.

5.2.1. მარკეტინგული გეგმების შექმნა სხვადასხვა წყაროებით;

5.2.2. სპონსორობის დივერსიფიკაცია;

5.2.3. ოფიციალური პარტნიორობის გაძლიერება.

5.3 კომუნიკაცია

ვიყოთ სპორტული ცოცვის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო, გლობალურად მრავალ პლატფორმაზე.

5.3.1. კორპორაციული კომუნიკაციის სტრუქტურის გაძლიერება;

5.3.2. გრძელვადიანი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება;

5.3.3. მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა;

5.3.4. ოფიციალური ვებგვერდის განვითარება;

5.3.5. სოციალური მედიის სტრატეგიის მუდმივი განახლება.